ხელშეკრულება №08/07/14

სახელმწიფო შესყიდვის შესახებ

ქ.თბილისი 22 ივლისი 2015 წელი

ერთის მხრივ **ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია"** (შემდგომში „შემსყიდველი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ლაშა სამხარაძის სახით და მეორეს მხრივ, **შპს „ჯეო ვუდი"** (შემდგომში „მიმწოდებელი") წარმოდგენილი მისი დირექტორის ოთარ მაჭარაშვილის სახით, გამარტივებული შესყიდვის, გამარტივებული ელ. ტენდერისა და ელექტრონული ტენდერის ჩატარების წესის დამტკიცების" შესახებ სახელმწიფო შესყიდვების სააგენტოს თავჯდომარის 2011 წლის 7 აპრილის ბრძანება №9, მე-3 მუხლის 1-ლი პუნქტის „ა" ქვეპუნქტის საფუძველზე, შევთანხმდით და დავდოთ ეს ხელშეკრულება შემდეგზე:

1. *ხელშეკრულების საგანი და კლასიფიკაციის კოდი*

1.1. წინამდებარე ხელშეკრულების საფუძველზე მიმწოდებელი თანახმაა გაუწიოს შემსყიდველს ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურება, ხოლო შემსყიდველი კისრულობს ვალდებულებას ჩაიბაროს მოთხოვნილი მომსახურება და გადაიხადოს მისი ღირებულება ხელშეკრულებით გათვალისწინებული წესით.

1.2. შესყიდვის ობიექტია – ავეჯის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება:

1.3 კლასიციკაციის კოდი – *CPV* 50850000 – *ავეჯის შეკეთება და ტექნიკური მომსახურება;*

2. *ანგარიშსწორების წესი და ვადები*

2.1. მთლიანად ხელშეკრულებით გათვალისწინებული მომსახურების სავარაუდო ღირებულება შეადგენს 4000.00 (ოთხი ათასი ლარი და 00 თეთრი) ლარს, დღგ-ს ჩათვლით;

2.2. ანგარიშსწორება მიმწოდებელთან განხორციელდება უნაღდო ანგარიშსწორებით;

2.3 ანგარიშსწორება განხორციელდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებიდან 15 (თხუთმეტი) დღის განმავლობაში;

3. *საქონლის მიწოდების ვადები*

3.1. მომსახურების მიწოდება განხორციელდება წინამდებარე ხელშეკრულების გაფორმებიდან ეტაპობრივად, 2015 წლის 31 დეკემბრის ჩათვლით.

3.2 მიმწოდებელი ვალდებულია მოთხოვნიდან (წერილობითი, სიტყვიერი) არაუგვიანეს 5 (ხუთი) დღის განმავლობაში შეაკეთოს დაზიანებული ავეჯი;

4. გარანტია

4.1. მიმწოდებელი იძლევა გარანტიას, რომ მის მიერ გაწეული მომსახურება შეესაბამება აღნიშნულ სფეროში არსებულ სტანდარტებს და აკმაყოფილებს ხელშეკრულებით გათვალისწინებულ პირობებს.

5. მიღება-ჩაბარების წესი

5.1 მომსახურების მიღება დასტურდება მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებით.

5.2 შემსყიდველის მხრიდან მიღება-ჩაბარების აქტის გაფორმებაზე უფლებამოსილი პირია ადმინისტრაციის უფროსი არჩილ ჭიღლაძე;

6. *ხელშეკრულებაში ცვლილებების შეტანა*

6.1. ამ ხელშეკრულების პირობების ნებისმიერი ცვლილება და დამატება ძალაშია, თუ ისინი შესრულებულია წერილობითი ფორმით, რომელიც ამ ხელშეკრულების განუყოფელ ნაწილი იქნება.

6.2. ნებისმიერი ცვლილება, რომელსაც მოჰყვება ხელშეკრულების ფასის გაზრდა ან შემსყიდველისათვის პირობების გაუარესება, დაუშვებელია გარდა საქართველოს სამოქალაქო კოდექსის 398-ე მუხლით გათვალისწინებული შემთხვევებისა.

7. მხარეთა პასუხისმგებლობა

7.1. ხელშეკრულების მონაწილე მხარეები კისრულობენ ვალდებულებას აუნაზღაურონ მეორე მხარეს მათ მიერ წინამდებარე ხელშეკრულების შეუსრულებლობისათვის ან არასრულად შესრულების შედეგად მიყენებული ზარალი, მოქმედი კანონმდებლობით განსაზღვრული წესით.
7.2. ხელშეკრულების შესრულებაზე კონტროლს (ინსპექტირებას) განახორციელებს 5.2 პუნქტში მითითებული პირი.

8. ფორს-მაჟორი

8.1. მხარეები თავისუფლდებიან პასუხისმგებლობისაგან ამ ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების სრული ან ნაწილობრივი შეუსრულებლობისათვის იმ შემთხვევაში, თუ აღნიშნულ ვალდებულებათა შეუსრულებლობა გამოწვეულია ფორს-მაჟორული გარემოებების გამო. თუმცა, ფორს-მაჟორული გარემოებების გამო ხელშეკრულების მხარეებმა უნდა გაატარონ ყველა კეთილგონივრული ღონისძიება, რათა მინიმალურ დროში იქნეს დაძლეული უუნარობა ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მინიმალური დაგვიანებით შესრულების თვალსაზრისით. ამასთან, ის ვადა, რომლის განმავლობაშიც ხელშეკრულების მხარემ უნდა შეასრულოს წინამდებარე ხელშეკრულებით მასზე დაკისრებული ვალდებულება გადაიწევს იმ პერიოდის ექვივალენტური დროით, რომლის განმავლობაშიც ასეთ მხარეს არ შესწევდა აღნიშნული ვალდებულებების განხორციელების უნარი ფორს-მაჟორული გარემოებების გამო, თუ ეს საერთოდ იქნება შესაძლებელი;

9. სადაო საკითხების გადაწყვეტა

9.1. ამ ხელშეკრულებასთან დაკავშირებით წამოჭრილი ყველა დავა და უთანხმოება გადაიჭრება მხარეთა შორის მოლაპარაკებების გზით. წინააღმდეგ შემთხვევაში მხარეები მიმართავენ სასამართლოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.
9.2. საკითხები, რომლებიც არ არის დარეგულირებული ამ ხელშეკრულებით, რეგულირდება საქართველოს მოქმედი კანონმდებლობის შესაბამისად.

10. ხელშეკრულების მოქმედების ვადა

10.1. ხელშეკრულება ძალაშია მხარეთა მიერ მისი ხელისმოწერისთანავე;
10.2. ხელშეკრულება მოქმედებს 2016 წლის 31 იანვრის ჩათვლით;

მხარეთა რეკვიზიტები

"შემსყიდველი"	*"მიმწოდებელი"*
ააიპ „თბილისის მუნიციპალური ლაბორატორია"	**შპს „ჯეო ვუდი"**
მისამართი: ქ. თბილისი, დ. აღმაშენებლის გამზ. №140ა/პასტერის 7,	მის: ქ. თბილისი, გორგასლის ქ. 10
ს/კ: 402008046	ს/კ: 422717509
ცენტრალური ხაზინა – ხაზინის ერთიანი ანგარიში	ბანკი: ს.ს „პროკრედიტ ბანკი"
	კოდი: MIBGGE22
კოდი: TRESGE22	ა/ა: GE24PC0133600100060907
ლაშა სამხარაძე _____	ოთარ მაჭარაშვილი _____